

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



საოფისე მოწყობილობებისა და მარაგის შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ.გორი

2014

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია	3
2. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი	5
3. დამატებითი ინფორმაცია	10
4. დანართი N 1 რეკვიზიტები	11
5. დანართი N2 ფასების ცხრილი	12
6. დანართი N3 საქონლის ტექნიკური პარამეტრები-დასახელება, რაოდენობა...	13

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

1.1. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) რეკვიზიტები დანართი №1 მიხედვით
- ბ) ფასების ცხრილი №2 დანართის მიხედვით,
- გ) საქონლის ტექნიკური პარამეტრები დანართი №3 მიხედვით.

1.2 ანგარიშსწორების პირობები:

1.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

1.2.3 დაფინანსების წყარო - 2014 წლის სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლები.

1.2. 5 ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღების თაობაზე, მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **15 კალენდარული დღის ვადაში**.

1.2.6 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

1.2.7 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები: იხილეთ დანართი №3

1.2.8. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, საოფისე მოწყობილობებისა და მარაგის შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულებაა **2000.00 (ორი ათასი) ლარი**.

1.3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი:

1.3.1. მიწოდება განხორციელდება ქ. გორში ჭავჭავაძის ქ. №53-ში.

1.3.2. მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდული საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს საკუთარი შესაძლებლობით.

1.3.4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში - ერთეულის ფასი მოცემული და განფასებული უნდა იყოს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებიდან გამომდინარე, ეროვნულ ვალუტაში.

1.3.6. შესასყიდი საქონლის (საკანცელარიო საქონელი, კონვერტები) ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ შემოტანილი საქონლის ხარისხის შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ხარისხის ინსპექტირება.

1.3.7. თუ შესყიდვის ობიექტი არ დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს და არ იქნება მაღალი ხარისხის, შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს მისი შეცვლა, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნის

შესაბამისად შეცვალოს წარმოდგენილი საქონელი და შეცვალოს ხარისხიანით საკუთარი ხარჯებით.

1.3.8. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

1.7.5. საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან **2014 წლის 24 იანვრამდე**.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N--

ერთი მხრივ, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორე მხრივ „-----“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ----- სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

- 1.1 ხელშეკრულება - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება.
- 1.3 შემსყიდველი - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 მიმწოდებელი - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.5 დღე, კვირა, თვე - კალენდალური დღე, კვირა, თვე.
- 1.6 ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გათვალისწინებულ ხასიათს, კერძოდ მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპროტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ----- საქონლის (CPV30199230) სატენდერო განცხადების ნომერი SPA-----) შესყიდვა თანდართული დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს -----(-----) ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებისათვის საჭირო ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 4. მიღება ჩაბარება და ანგარიშსწორება

- 4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 მუხლში მითითებული პირი.
- 4.2 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესაბამის საგადასახადო დოკუმენტს (სასაქონლო ზედნადები/ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).
- 4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

5.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს ერთიანად ხელშეკრულების დადებიდან 30 ნოემბრამდე შემსყიდველის მისამართზე (გორი, ჭავჭავაძის ქ. N53)

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

6.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1 მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიიღოს მიწოდებული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

6.4.2 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი პირი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. შემსყიდველის ინიციატივით, ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4 ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიეწოდება ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა ნაკლის გამოსწორება.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. პირგასამტეხლო

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

- ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
- დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

12.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეების უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 13. შეტყობინება

13.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომში წარმოდგენით.

13.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების შემდეგ.

მუხლი 14. გადასახადების და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 15. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 27 თებერვლამდე.

მუხლი 17. სხვა პირობები

18.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

18.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დანართებით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

4.დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ.გორი ჭავჭავაძის ქ.№53 საკონტაქტო პირი: ლია აბისონაშვილი ტელ: 577 15 12 24

დანართი №1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფირმა და დასახელება:

ხელმძღვანელის გვარი, სახელი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის საკომუნიკაციო საშუალებები: ტელეფონი, ფაქსი, მობილური, ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადებების ფასი.

დანართი №2

ფასების ცხრილი

პრედენდენტის დასახელება _____

№	საქონლის დასახელება	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7

დანართი №3

პრეტენდენტის დასახელება _____

საოფისე მოწყობილობებისა და მარაგის ტექნიკური პარამეტრები

№	დასახელება	მახასიათებლები	რაოდენობა
1	კონვერტი	ფორმატი A3	1500 ცალი
2	კონვერტი	ფორმატი A4	1900 ცალი
3	კონვერტი	ფორმატი A5	600 ცალი
4	თვითკრობადი ქაღალდი (ლეიბლი)	ზომით 64X34მმ	40 შეკვრა
5	თვითკრობადი ქაღალდი (ლეიბლი)	ზომით 51X21მმ	5 შეკვრა